

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



განცხადება სოფელ დიდინეძში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით

1 ოქტომბერს სოფელ დიდინეძში მომხდარი ძალადობრივი ინციდენტი საფრთხეს უქმნის თავისუფალ და მშვიდ წინასაარჩევნო გარემოს. არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ფიზიკური დაპირისპირება იწვევს პოლიტიკურ ძალებს შორის დაძაბულობის ესკალაციას და არჩევნების დღისთვის ძალადობრივ ფონს აყალიბებს. ყველა მხარის პასუხისმგებლობა არ დაუშვას სიტუაციის დამატებითი გამწვავება არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



გუშინ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდიხედიში „ქართული ოცნების“ ახალგაზრდი ფრთის რამდენიმე წარმომადგენელს სცემეს. ფიზიკური დაპირისპირება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის მოხდა. ინციდენტი მოხდა მაშინ, როდესაც ქართული ოცნების წარმომადგენლები სააგიტაციო მასალას არიგებდნენ. დაპირისპირების შედეგად დაზიანება მიიღო ქართული ოცნების სამმა წარმომადგენელმა. როგორც ზუგდიდის საავადმყოფოს ექიმმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა „ორს აღენიშნება თავის ტვინის შერყევა, ერთს კი თავის ზედაპირული ტრავმა“.

„ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ ინციდენტში მონაწილეობას იღებდა სოფელ დიდიხედის ყოფილი გამგებელი, ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი შტაბის ხელმძღვანელი პაპუნა კუკავა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“ ვახა ქირია და ოპოზიციური პარტიის კიდევ რამდენიმე მხარდამჭერი. „ნაციონალური მოძრაობაში“ კი ინციდენტში საკრებულოს წევრის ვახა ქირიას მონაწილეობას უარყოფენ და დაპირისპირების პროვოცირებაში ბრალს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს სდებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით დაიწყო, რაც ცემას ითვალისწინებს. ასევე ქართული ოცნების ზუგდიდის რეგიონულმა ოფისმა მოუწოდა მომხრეებს არ წამოეგონ პროვოკაციებს. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, თენგიზ გუნავამ სოფელ დიდიხედიში მომხდარი ინციდენტი შეაფასა როგორც ცუდი და სამწუხარო ფაქტი, თუმცა ამავედროულად განაცხადა, რომ ქართული ოცნების წარმომადგენლების მხრიდან უწმანური სიტყვებით მიმართვაზე მათ „ადეკვატური პასუხი მიიღეს“.

დიდიხედიში მომხდარი ინციდენტის გამო პოლიციაში დაკითხვაზე მყოფი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს პაპუნა კუკავას და მანუჩარ ქირიას სახალხო დამცველის რეგიონული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსი ლევან პაპავა შეხვდა, მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ, დაკითხვაზე მყოფ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს გარეგნულად დაზიანების კვალი არ აღენიშნებათ და არც პოლიციის მხრიდან ზეწოლაზე საუბრობენ. თავის მხრივ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მსუბუქი დაზიანებები მათ წევრებსაც აღენიშნებათ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მოვეწოდებით საგამოძიებო ორგანოებს, გამოიძიონ აღნიშნული ინციდენტი სწრაფად, ობიექტურად და მიუკერძოებლად და მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მშვიდობიანი და უსაფრთხო საარჩევნო გარემო.

ასევე, მოვეწოდებით პოლიტიკურ პარტიებს და მათ წარმომადგენლებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარ ქმედებებს საარჩევნო პერიოდში, თავი შეიკავონ დაპირისპირებებისა და ძალადობისაგან, ასევე ისეთი განცხადებებისგან, რომელიც წაახალისებს ძალადობას და დაპირისპირებას. მივიჩნევთ, რომ ნებისმიერმა განცხადებამ, რომელიც თუნდაც არაპირდაპირ მიანიშნებს ძალადობის გამართლებაზე, შესაძლოა გაზარდოს წინასაარჩევნოდ ძალადობრივი დაპირისპირების რისკი.

არჩევნების წინ მსგავსი ინციდენტები გავლენას ახდენს არჩევნების პროცესის ჯანსაღ პოლიტიკურ გარემოში ჩატარებაზე, რაც საბოლოოდ ქვეყანაში დემოკრატიისა და მმართველობის ხარისხზე აისახება.